დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

ხათუნა საყვარელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო თავაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429433

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N58
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	batumi5@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	----

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 25 მარტის MES 4 26 0000356250 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 29 – 30 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N58; 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N58; 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N58; 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 25 მარტის - MES 4 26 0000356250 ბრძანების საფუძველზე, სსიპ-ქალაქ ბათუმის N 5 საჯარო სკოლაში 2026 წლის 29 და 30 აპრილს განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის პერიოდში შემოწმდა სკოლის შენობა, რომელიც სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული. სკოლის მიწის ტერიტორია შეადგენს 6039 კვ.მ და მასზე განთავსებულია შენობა - ნაგებობა ფართით 7575.84 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო (დაგებული იატაკი, მოპირკეთებული ჭერი და კედლები), დარჩენილი იყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები, სასკოლო ინვენტარის შეტანა და სხვა მცირე სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენელმა და სკოლის დირექტორმა აღნიშნეს, რომ სამუშაოების სრულად დასრულებისთვის კომპანიას დასჭირდებოდა დაახლოებით მაისის ბოლომდე პერიოდი, რის შემდეგაც დაიწყებოდა ინვენტარის შეტანა და მონტაჟი. სკოლის დირექტორის განცხადებით, სასწავლო პროცესი სკოლის შენობაში განახლდებოდა ახალი სასწავლო წლიდან. აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობა არის სამ სართულიანი, ასევე შენობას აქვს ნულოვანი სართული (სარდაფი), სკოლის სამივე სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, ჯამში 42 საკლასო ოთახი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, 3 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (თოთოეული მიმართულებისთვის ცალ - ცალკე), განთავსებულია სივრცე ბიბლიოთეკისთვის, სამედიცინო კაბინეტი, ღონისძიებების დარბაზი, რესურს ოთახები, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, დირექტორის, ბუღალტრის, საქმისწარმოების და სხვა ადმინისტრაციული პერსონალისთვის გათვალისწინებული სამუშაო ოთახები, სივრცე სასადილოსთვის. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეების კვების მომსახურებას. სკოლის შენობაში განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილები. სკოლას აქვს ეზო როგორც შენობის წინა, ისე უკანა მხარეს. სკოლის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სპორტული მოედანი. სკოლის შენობის შესასვლელს აქვს პანდუსი, ასევე დამონტაჟებულია ლიფტი. შენობაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, სასმელი წყალი, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლაში სწავლობდა 1254 მოსწავლე.

ასევე აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლის მოსწავლეთა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ახლო მდებარე რაიონში (ორ ობიექტზე), კერძოდ ხელვაჩაურის რაიონში, ქვემო ახალშენის საჯარო სკოლაში და ორთა ბათუმის საჯარო სკოლაში. წარმოების ფარგლებში ასევე ვიზიტი განხორციელდა ორივე მისამართზე, რითაც დადგინდა, რომ მოსწავლეთა გადაყვანა ხორციელდებოდა სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით, უსაფრთხოების წესების დაცვით, სკოლა უზრუნველყოფდა

პირველადი სამედიცინო დახმარებას, სასკოლო საზოგადოების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლივ მიმდინარეობას.

ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა პირადი საქმეები, საინფორმაციო რესურსები, საქმისწარმოების მიმდინარეობა და ასევე შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესშიც.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 2450	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებ რეალისტური ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები დ შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 5 სექტემბრისა, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანები. ასევე, სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივლისისა, უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	✓ *სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 30 დეკემბრისა, უზრუნველყოს უფლებამოსილი*

1 გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*ორგანოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხობის შესახებ დასკვნის მოპოვება;* ✓ *სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 30 დეკემბრისა, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.*
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა, უზრუნველყოს შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ამოქმედება/გამართული ფუნქციონირება, რათა შექმნილი იყოს სწავლის ინკლუზიური გარემო.*
ინდიკატორი N3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა უზრუნველყოს კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟი, რათა უზრუნველყოფილი იყოს* სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა.
ინდიკატორი N3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიებ ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომ	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა, უზრუნველყოს კომპიუტერულ*

	მოსწავლეებისა და პერსონალისათვ სკოლის მიერ დადგენილი წეს შესაბამისად	*ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონტაჟი, რათა* ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის მიზნით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საბუნებისმეტყველო მატერიალური რესურსებით სკოლის აღჭურვა.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის მიზნით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით,*

		უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საბუნებისმეტყველო მატერიალური რესურსებით სკოლის აღჭურვა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**	სკოლის მისიის განაცხადი სასურველია იყოს **ლაკონური, მარტივი, გასაგები და მკაფიოდ ორიენტირებული** სკოლის მიზნებზე.
ინდიკატორი N1.2.2.1	**სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**	სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები, დოკუმენტში უფრო მეტად დეტალურად აღიწეროს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც**	**სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის**

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	✓ *სასურველია დაწესებულებამ, სამედიცინო კაბინეტი სრულად დააკომპლექტოს წესის შესაბამისად განსაზღვრული აღჭურვილობით/სახარჯი მასალით.* ✓ *მოსწავლეთა რაოდენობის (1254 მოსწავლე) გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ საშტატო განრიგით განსაზღვროს და დაასაქმოს არანაკლებ 2 სამედიცინო პერსონალი.*
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სასურველია დაწესებულებამ განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი **4.2.1.4**	სკოლა მოსწავლეს გონივრულ/ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით	*სასურველია სკოლამ სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის საჩივრისა და განცხადების განხილვის წესში შეიტანოს ცვლილებები და უფრო მეტად გამოკვეთოს, სკოლის საქმიანობის შესაბამისად, მისი როლი საჩივრებისა და განცხადებების განხილვის პროცესში.*
ინდიკატორი **4.2.1.5**	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/ არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	*სასურველია სკოლამ "მოსწავლის ინიციატივების მხარადაჭერის მექანიზმების" დოკუმენტში, გაასწოროს სკოლის სახელწოდებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი (მუხლი: ზოგადი დებულებები).*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების	ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დიფერენცირებულ მიდგომას მეტწილად აიგივებს ინკლუზიურ განათლებასთან (სსსმ და დაბალი მოსწრების მოსწავლეთა მხარდაჭერა). დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მკაფიო სტრატეგია და მეთოდოლოგიური ინსტრუქცია **მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა** პოტენციალის რეალიზებისთვის. (თუმცა კურიკულუმის განხორციელების ნაწილში მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა

	გათვალისწინების შესაძლებლობას	საჭიროებების დიფერენცირება სახეზეა). დიფერენცირების ასეთი ვიწრო გაგება ეწინააღმდეგება სტანდარტის მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის თანაბარ ხელმისაწვდომობასა და განვითარების შესაძლებლობას ყველა კატეგორიის მოსწავლისთვის. სასურველია დოკუმენტში სამომავლოდ გამოსწორდეს ინკლუზიის და დიფერენცირების ცნებების აღრევა. ***(ზოგადი ექსპერტი)***
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ფორმულირებული იქნება იდეების დონეზე (კონცეპტუალურად). ნათლად იყოს გამოკვეთილი დიფერენცირების მაგალითები და სტრატეგიები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო საერთო უნდა იყოს კათედრაში შემავალი ყველა საგნისთვის. ***(საზოგადოებრივი)***
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისად დააზუსტეთ თემები და სამიზნე ცნებები. წიგნის პარაგრაფების ჩამოწერის მაგივრად საკითხები დააჯგუფეთ ქვეცნებები შესაბამისად. ***(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)*** (დაწყებითი) სასურველია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის, კერძოდ მათემატიკის სტანდარტის თანახმად, ყველა სავალდებულო სასწავლო თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. მაგალითად, III კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემებში „რიცხვები, რიცხვები 1000-ის ფარგლებში„ და „გეომეტრიული ფიგურა“-ში არ მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. ***(მათემატიკა)***
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის	სასურველია “ჩვენი საქართველო” კურიკულუმში რესურსების სვეტი გამოირჩეოდეს მრავალფეროვნებით. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ციფრული რესურსის აქტიური გამოყენება, მათ შორის:

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ვიდეოგაკვეთილების, ონლაინბიბლიოთეკების, საგანმანათლებლო აპლიკაციებისა და ინტერაქციული პლატფორმების ***(საზოგადოებრივი)***
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია სასწავლო პროცესის ძირითადი კომპონენტების (შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, სასწავლო გარემო) მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე. მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მათ ავტონომიურობას, მაღალ ჩართულობასა და საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას. (***საზოგადოებრივი)***
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის გაიზარდოს ისეთი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულ (კურიკულუმში წარმოდგენილ) დავალებებზე იქნება მორგებული. კრიტერიუმების შემუშავებისას პედაგოგებმა უფრო მეტად გაითვალისწინონ საგნის სტანდარტში მოცემული გრძელვადიანი მიზნები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას იხელმძღვანელონ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით. ***(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)***
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. ***(მათემატიკა)***
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე,	სასურველია ყველა თემის/ საკითხისთვის შექმენათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ***(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)***

	სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველიან თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა განისაზღვროს 10 ქულით. სასწავლო აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული. თითოეულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქულათა მინიჭების კრიტერიუმები (მაგალითად, რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას), რათა შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, გაზომვადი და მოსწავლისთვის ადვილად აღქმადი. პროექტის შეფასების რუბრიკა ორიენტირებული იყოს პროექტის განხორციელების სრულ ციკლზე და მის სიღრმისეულ ანალიზზე. რუბრიკაში აისახოს მუშაობის პროცესი, კვლევის ხარისხი და დასახული მიზნების მიღწევის დონე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. (*საზოგადოებრივი)* სასურველია,როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. *(ესთეტიკური აღზრდა)*
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. *(მათემატიკა)*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ფორმულირებული იქნება იდეების დონეზე

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	(კონცეპტუალურად). ნათლად იყოს გამოკვეთილი დიფერენცირების მაგალითები და სტრატეგიები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო საერთო უნდა იყოს კათედრაში შემავალი ყველა საგნისთვის. ***(საზოგადოებრივი)***
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	(საბაზო, საშუალო) IX და X კლასების კურიკულუმებში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა. თემების ჩამოთვლისას კი გათვალისწინებული იქნას სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის ფარგლებში სავალდებულოდ დასამუშავებელი თემები. ***(მათემატიკა)***
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში, რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს არა მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოებს, არამედ ელექტრონულ მასალებს, დამხმარე ლიტერატურასა და ვიდეორესურსებს. ზოგადი პლატფორმების (მაგ. YouTube.com) ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს პირდაპირი ბმულები (URL), რაც უზრუნველყოფს მასალებზე სწრაფ და შეუფერხებელ წვდომას. ***(საზოგადოებრივი)***
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით, მათთვის არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. კერძოდ: ასწავლო მასალის სირთულისა და მოცულობის განსაზღვრა მოსწავლის მზაობის მიხედვით; სწავლის სხვადასხვა სტრატეგიისა და ტემპის შეთავაზება; მოსწავლეებისთვის თავისუფლების მიცემა კომპლექსური დავალების შესრულების ფორმის შერჩევისას; ფიზიკური ან ციფრული სივრცის ადაპტირება ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის ეფექტურობისთვის. (***საზოგადოებრივი)***

2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბაზო საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. (***საზოგადოებრივი)***
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. ***(მათემატიკა)***
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია ყველა თემის/ საკითხისთვის შექმენით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ***(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)*** სასურველია თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა განისაზღვროს 10 ქულით. სასწავლო აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული. თითოეულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქულათა მინიჭების კრიტერიუმები (მაგალითად, რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას), რათა შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, გაზომვადი და მოსწავლისთვის ადვილად აღქმადი.

		პროექტის შეფასების რუბრიკა ორიენტირებული იყოს პროექტის განხორციელების სრულ ციკლზე და მის სიღრმისეულ ანალიზზე. რუბრიკაში აისახოს მუშაობის პროცესი, კვლევის ხარისხი და დასახული მიზნების მიღწევის დონე. (*საზოგადოებრივი)* სასურველია, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. *(ესთეტიკური აღზრდა)*
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. *(მათემატიკა)*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ფორმულირებული იქნება იდეების დონეზე (კონცეპტუალურად). ნათლად იყოს გამოკვეთილი დიფერენცირების მაგალითები და სტრატეგიები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო საერთო უნდა იყოს კათედრაში შემავალი ყველა საგნისთვის. *(საზოგადოებრივი)*
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	(საბაზო, საშუალო) IX და X კლასების კურიკულუმებში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება

		გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა. თემების ჩამოთვლისას კი გათვალისწინებული იქნას სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის ფარგლებში სავალდებულოდ დასამუშავებელი თემები. ***(მათემატიკა)***
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში, რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს არა მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოებს, არამედ ელექტრონულ მასალებს, დამხმარე ლიტერატურასა და ვიდეორესურსებს. ზოგადი პლატფორმების (მაგ. YouTube.com) ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს პირდაპირი ბმულები (URL), რაც უზრუნველყოფს მასალებზე სწრაფ და შეუფერხებელ წვდომას. ***(საზოგადოებრივი)***
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით,მათთვის არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. კერძოდ: ასწავლო მასალის სირთულისა და მოცულობის განსაზღვრა მოსწავლის მზაობის მიხედვით; სწავლის სხვადასხვა სტრატეგიისა და ტემპის შეთავაზება; მოსწავლეებისთვის თავისუფლების მიცემა კომპლექსური დავალების შესრულების ფორმის შერჩევისას; ფიზიკური ან ციფრული სივრცის ადაპტირება ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის ეფექტურობისთვის. (***საზოგადოებრივი)***
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს კონსტრუქციული უკუკავშირის სამკომპონენტიან პრინციპს: დაზუსტება (რა გაკეთდა), წახალისება (რა არის კარგი) და რჩევა (რა და როგორ უნდა გაუმჯობესდეს). სხვადასხვა სასწავლო აქტივობისა თუ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი,

		მიღწევადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი (ე.წ. SMART პრინციპი). (*საზოგადოებრივი)*
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. *(მათემატიკა)*
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია ყველა თემის/ საკითხისთვის შექმენით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. *(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)* სასურველია: თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა განისაზღვროს 10 ქულით. სასწავლო აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული. თითოეულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქულათა მინიჭების კრიტერიუმები (მაგალითად, რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას), რათა შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, გაზომვადი და მოსწავლისთვის ადვილად აღქმადი. პროექტის შეფასების რუბრიკა ორიენტირებული იყოს პროექტის განხორციელების სრულ ციკლზე და მის სიღრმისეულ ანალიზზე. რუბრიკაში აისახოს მუშაობის პროცესი, კვლევის ხარისხი და დასახული მიზნების მიღწევის დონე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. (*საზოგადოებრივი)*
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. *(მათემატიკა)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის შედეგად ექსპერტებმა გავითვალისწინეთ დაწესებულების პოზიციები და არგუმენტები და განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები:
1. N.1.2.1.4 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა);
2. 3.1.2.3 ინდიკატორის ხარვეზი შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა);
3. N3.4.1.1 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან/პირთან);
4. N3.4.1.1 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (უფლებამოსილი ორგანოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება);
5. 3.5.1.4 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ამოქმედება/გამართული ფუნქციონირება, რათა შექმნილი იყოს სწავლის ინკლუზიური გარემო);
6. 3.6.1.1 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა);
7. 3.6.1.2 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონტაჟი, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა).
8. 2.2.2.3 რეკომენდაციის (საბაზო და საშუალო საფეხური) შესრულების ვადა, არგუმენტიებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით დაკორექტირდა და განისაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა

(საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის მიზნით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საბუნებისმეტყველო მატერიალური რესურსებით სკოლის აღჭურვა).

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლას შემუშავებულია აქვს, სკოლის მისია და ხედვა. სკოლის მისიაა: უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის აქტიური ჩართულობით შექმნას უსაფრთხო ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული გარემო; ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას მოსწავლეებში; დანერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესი; უზრუნველყოს პედაგოგთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა ჩართულობა სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტში.

სკოლის ხედვაა:

1. სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა; 2. ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკების დანერგვა; 3. საზოგადოებასთან პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარება; 4. პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა; 5. განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა; 6. ტექნოლოგიების გააზრებული და მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში; 7. საგანმანათლებლო ინოვაციების მხარდაჭერა და დანერგვა; 8. თვითმყოფადი, პასუხისმგებლიანი და ეთიკურად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა; 9. გლობალური გამოწვევების გააზრებისა და მათზე რეაგირების უნარების განვითარება მოსწავლეებში. 10. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება (აკადემიური, სოციალური, ემოციური და ეთიკური) უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გარემოში.

სკოლის მისიის და ხედვის შინაარსის თანახმად, მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ *მიზნებს.* ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რჩევა: სკოლის მისიის განაცხადი სასურველია იყოს **ლაკონური, მარტივი, გასაგები და მკაფიოდ ორიენტირებული** სკოლის მიზნებზე.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიის შინაარსის მიხედვით, სკოლა ორიენტირებულია პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის აქტიური ჩართულობით შექმნას უსაფრთხო ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული გარემო; სკოლის ხედვა მოიცავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას (აკადემიური, სოციალური, ემოციური და ეთიკური) უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გარემოში. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაზღვრულია 3 მანდატური. სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმები", რომლის შინაარსი მოიცავს: დოკუმენტის მიზნებს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს, სკოლის ქონების დაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგს, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების რეაგირების მექანიზმები.

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე მორგებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც დეკლარირებულია სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, საგნობრივი კურიკულუმების ჭრილსა და არაფორმალური განათლების აქტივობებში.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები, რაც აისახება სხვადასხვა წესსა და დებულებაში. სკოლაში ხორციელდება გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები, საქველმოქმედო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, შიდა სასკოლო გამოფენები, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები, სპორტული გასართობი და შემეცნებითი აქტივობები. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის ნომერ 73 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი. ბრძანების შინაარსის თანახმად, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში გათვალისწინებულია სკოლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი, მოსწავლე, მშობელი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკომენტაციის თანახმად წარმოდგენილია მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი მასალა. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულება", რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ეტაპების დაცვით სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარების ეტაპი გაგრძელდა შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებით, როგორიცაა სკოლის ფარგლებში პირისპირ შეხვედრებით გაზიარება, მშობლებისთვის ფილოსოფის დოკუმენტის პროექტის გაცნობის/გაზიარების ამსახველი მასალით. სასკოლო საზოგადოებამ

გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მათ გაუზიარდათ დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ უკვე შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, რადგან იგი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად „სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებ - გვერდზე, შიდა დოკუმენტაციაში და თვალსაჩინო ადგილებზე. მათი გაზიარება ხორციელდება მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან შეხვედრებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში.“ დოკუმენტაციის შესწავლითა და ვებ - გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება - სსიპ ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლა. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 დეკემბრის ბრზანება „ავტორიზაციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- „სსიპ ქ. ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულება“;
- სსიპ ქალაქ ბათუმი N5 საჯარო სკოლა - სკოლის ფილოსოფია-მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის დირექტორის 2024 წის 01 დეკემბრის ბრძანება (01/03/73) „სკოლის სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სკოლის ვებ - გვერდი: სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები.
- სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ ვიზიტის ეტაპზე წარმოადგინა „სსიპ ქ. ბათუმის ნომერ 5 საჯარო სკოლისსტრატეგიული დაგეგმვის დებულება“, რომლის შინაარსის თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევის (რისკების) და გარემოს ანალიზს. რომლის ფარგლებშიც განხილული და შეფასებული უნდა იქნეს ყველა ფაქტორი, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და თავად სკოლის მდგრად განვითარებაზეც. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ტერმინთა განმარტება, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, პროცედურის განხორციელების წესები. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

„სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულების“ თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს 7 წლიანი „სტრატეგიული განვითარების გეგმა“, რომელიც მოიცავს სკოლის ფილოსოფიას, საჯაროობას და გაზიარებას, მისიისა და ხედვის განხორციელების პრინციპებს, სკოლის წარმატებებზე მოქმედ უმთავრეს ფაქტორებს, საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზს, სკოლის კონკურენტების ანალიზს, მომხმარებლის ქცევის ანალიზს, სკოლის შიდა გარემოს ანალიზს, სკოლის მოთხოვნადობას, სკოლის swot ანალიზს და ა.შ. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური, იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

„სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულების“ თანახმად, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 1 წელზე და მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად. გადახედვის შედეგად ფასდება წინა წლის გეგმის შესრულება, ზუსტდება შემდეგი წლის ამოცანებისა და აქტივობების ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში ემატება ახალი ამოცანები/აქტივობები. დოკუმენტების თანახმად წარმოდგენილია 2025 – 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლამ ასევე წარმოადგინა გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლას შემუშავებული აქვს 2025 – 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმაში ასახულია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და ვადები. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანებიდან არ გამომდინარეობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ამოცანები, მაგ: სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პირველი მიზნის ინსტიტუციური განვითარება“ ამოცანებია:

1.1 სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციების გადახედვა - განვითარება, ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაშ მოყვანა;
1.2 მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნა და მისი ფუნქციონირება.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ზემოთ აღნიშნული დასახელებით მიზანი „ინსტიტუციური განვითარება“ არ არის გათვალისწინებული და ასევე არც ამოცანებია გათვალისწინებული.
აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გარკვეული ამოცანები არ შეესაბამება ერთმანეთს. ასევე სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებულ მიზანს - სკოლის ციფრული განვითარება არ აქვს განსაზღვრული შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი გეგმის შესწავლის თანახმად, ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი გეგმებით განსაზღვრული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გამოაგზავნა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა დოკუმენტების ანალიზის შესაბამისად ერთმანეთთან შესაბამისობაში არ არის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმებით განსაზღვრული ამოცანები. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა შესრულების ვადად არაუგვიანეს 2026 წლის 5 სექტემბრისა პერიოდი.
რეკომენდაცია: ***სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 5 სექტემბრისა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანები. ასევე, სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.***

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ ქ. ბათუმის ნომერ 5 საჯარო სკოლისსტრატეგიული დაგეგმვის დებულება“;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025 – 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

„სსიპ ქ. ბათუმის ნომერ 5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულების“ თანახმად, განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზა, რომლის თანახმად: სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს/დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს სკოლის დირექტორი. ასევე დოკუმენტის შინაარსი თანახმად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, წარიმართება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

რჩევა: სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები, დოკუმენტში უფრო მეტად დეტალურად აღიწეროს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მონიტორინგისთვის სკოლაში აქტიურად გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ შემუშავებული ანგარიშები. წლის ბოლოს დაწესებულების მუშაობის ანალიზი და შეფასება დაეყრდნო კათედრის ხელმძღვანელების და დირექტორის ანგარიშებს, ასევე დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებულ უკუკავშირს. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის თანახმად განხილულია საშემოდგომო გამოცდების შედეგები. სკოლამ წარმოადგინა „სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება (01/03/90). დოკუმენტაციის ანალიზის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ - ვებ - გვერდზე და სხვა საშუალებების მეშვეობით. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს სოციალური ქსელის, ვებ-გვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. აღნიშნულ ინტერნეტ პლატფორმებზე წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობის ამსახველი ინფორმაცია და ფოტო-მასალა. ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ეცნობიან სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში; დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებისგან იღებენ ინფორმაციას დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში შეგროვებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება, სიტუაციური ანალიზი, ისახება გადაჭრის გზები და შესაბამისი აქტივობები. მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს, გათვალისწინებულია წინა წლის პრაქტიკა და შენიშვნები. სტრატეგიული დაგეგმვის დებულების შინაარსის თანახმად, წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილების საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ ქ. ბათუმის ნომერ 5 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დებულება“
- სკოლის შიკა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ დებულება“;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება „სსიპ - ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილია პირის განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული ორგანოგრამა, საშტატო განრიგი. საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები/სტურუქტურული ერთეულები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი ა.შ. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა - წესდება/დებულება“. დოკუმენტის შესაბამისად, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების ფუნქციები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებები, მაგ: კათედრების დებულებები, პადაგოგიური საბჭოს დებულება და ა.შ. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების შინაარსის

ანალიზის თანახმად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა - წესდება/დებულება“. დოკუმენტის შესაბამისად, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების ფუნქციები. სკოლის მმართველობითი ერთეულები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას. დოკუმენტის თანახმად მმართველობითი ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. მმართველობითი ერთეულები პასუხისმგებლები არიან ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვნად შესრულებაზე; დოკუმენტაციის შინაარსის შესაბამისად, აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებები, მაგ: კათედრების დებულებები, პადაგოგიური საბჭოს დებულება და ა.შ. სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა - წესდება/დებულება“;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის კათედრების დებულების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის №01/03/91 ბრძანება და თანდართული დოკუმენტი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- პედაგოიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №01/03/102 და თანდართული დანართი;+
- საგნობრივი კათდრების წევრების შერჩევისა და დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის №01/03/88 ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, სკოლას ერთ- ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს „ადამიანური რესურსების მართვა“. „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა - წესდება/დებულების“, დოკუმენტის შესაბამისად, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების ფუნქციები. სკოლის მმართველობითი ერთეულები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას. აღნიშნული ფუნქციების თანახმად, თითოეული თანამდებობის პირი/სტრუქტურული ერთეული ჩართულია სასკოლო საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტიან და დროულ შესრულებას.
სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომლის უფლება - მოვალეობებს, სკოლაში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლაში ახლად მიღებული პირის ადაპტაციის ეტაპებს და გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, სკოლას განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსის მართვა. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, დოკუმენტის შინაარსი მოიცავს ადაპტაციის ეტაპებს, აქტივობებს და ა.შ.
 სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების“ შესაბამისად განსაზღვრულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა საკითხები, სკოლაში თანამშრომლის/პედაგოგის შერჩევის და მოზიდვის პროცედურა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება მასწავლებლისადმი დადგენილი ძირითადი მოთხოვნები, კანდიდატისადმი დადგენილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა/ფორმირება, კომისიის წევრის აცილება, კომისიის საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები, საპრეტენზიო კომისია, შრომითი ხელშეკრულების დადება, მასწავლებლის საქმიანობის შეწყვეტა. სკოლაში ვიზიტის ეტაპზე შესწავლილ იქნა შერჩევითობის პრინციპით საკონკურსო მასალა. სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები, რის თანახმადაც დგინდება, რომ ზოგიერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განსაზღვრა შესასრულებლად არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივლისისა პერიოდი.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის საშტატო განრიგის, სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების“, „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის პერსონალის რეესტრის შესაბამისად, დასაქმებულ პედაგოგებს უფიქსირდება შესაბამისი სტატუსი. სკოლაში დასაქმედული არის ჯამში 108 თანამშრომელი, მათ შორის 87 პედაგოგიური პერსონალი. სკოლაში დასაქმებულია 4 სპეც. მასწავლებელი და 5 ასისტენტი. სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა ასევე დასაქმებული პერსონალის პირადი საქმე, გამოცხადებული შესარჩევი კონკურსები, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დოკუმენტაციის შესწავლით სკოლაში

დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, დირექტორის 2024 წლის 15 დეკემბრის ბრძანებით შეიქმნა „ავტორიზაციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი“, ასევე დირექტორის 2024 წლის 01 დეკემბრის ბრძანებით შექმნილია სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენაზე მომუშავე ჯგუფი. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დებულებით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართლობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სკოლაში ფუნქციურია სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. დოკუმენტაციის ანალიზითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შინაგანაწესის თანახმად, დასაქმებული შესაძლებელია წახალისდეს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად, ასევე განსაზღვრულია პერსონალის წახალისების მოტივაციის განმსაზღვრელი მექანიზნები. სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ სკოლა პრაქტიკაში იყენებს წახალისების ღონისძიებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები, რომლითაც ასევე დასტურდება წახალისების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება. დოკუმენტაციის ანალიზის შესაბამისად, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა - წესდება/დებულება“;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის მექანიზმის დოკუმენტი;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“;
- დირექტორის 2024 წლის 15 დეკემბრის ბრძანება „ავტორიზაციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის“ შექმნის შესახებ;
- დირექტორის 2024 წლის 01 დეკემბრის ბრძანება სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების დოკუმენტი;
- სკოლის პერსონალის რეესტრი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება 01/07/219 „სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის დასაქმებულთათვის წახალისების სახით ერთჯერადი პრემიის გაცემის შესახებ“;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის კონკურსის განაცხადი ვაკანტური საათების შესავსებად;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 21 ივლისის სხდომის ოქმი;
- უცხო ენების კათედრის 2025 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი;
- უცხო ენების კათედრის 2025 წლის 15 დეკემბრის სხდომის ოქმი;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, დოკუმენტი არეგულირებს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკას, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების განვითარებას, პროფესიული განვითარების ორგანიზებას, შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ - ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას და ა.შ. სკოლას დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება“, რომლითაც გათვალისწინებულია მასწავლებელთა შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ა.შ. ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის 2025 – 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პერსონალის აქტივობები, რომელიც ასევე ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მუდმივ განვითარებას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დოკუმენტის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღაკლვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, პერსონალის საჭიროებების და სურვილის გათვალისწინებით სკოლა მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ შეხვედრების მეშვეობით პერსონალი ერთმანეთს უზიარებს თავის გამოცდილებას, ასევე სკოლის პერსონალი აქტიურად იყენებს ურთიერთდასწრების მექანიზმს. სკოლას დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება“, რომლითაც გათვალისწინებულია მასწავლებელთა შეფასება,

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის თანახმად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, სკოლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღაკლვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის ამსახველი რეესტრით (ემისის ბაზის ამონაწერი), ასევე პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ პერსონალი მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სკოლას დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება“, რომლითაც გათვალისწინებულია მასწავლებელთა შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ა.შ. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად ხელს უწობს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, აქტივობებსა და კონფერენციებში, რაც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში პერსონალის კარიერულ ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების შესაბამისად, განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის აქტივობები. დოკუმენტით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის თანამშრომლისთვის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლისთვის უფლება - მოვალეობების გაცნობა, ინფორმირება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, ახალი თანამშომლის სხვა სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მასწავლებლის ადაპტაციასთან მიმართებაში შესაბამისი პირების მიერ გასატარებელი აქტივობები. პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თანამშრომლებში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი და თითოეული ხელს უწყობს პერსონალის ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან, სკოლაში ასევე დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი; შინაგანაწესის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია წახალისების ფორმები, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული

სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- ემისის ბაზის ამონაწერი - პესონალის შესახებ;
- სსიპ ქ. ბათუმის N5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- საავტორო აქტივობების გეგმა;
- „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულების შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება და თანდართული დანართი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა „სკოლის შიდა ხარისხის მართვის ჯგუფის დებულების“ დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ნომერ 01/03/101 ბრძანება და თანდართული დოკუმენტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, სკოლის პროცესები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, მასწავლებლის შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. დოკუმენტების შინაარსის გათვალისწინებით დგინდება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლამ წარმოადგინა „სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის სტრუქტურა წესდება/დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია სკოლის მიზანი, ფუნქციები და საქმიანობის საგანი. აღწერილია სკოლის სტრუქტურა და მართვა, ასევე აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის და კოლეგიური ორგანოს ფუნქციები. სკოლას შემუშავებული აქვს „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება“, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრების დებულება, სადამრიგებლო დებულება და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტაციაში აღწერილია მმართველობითი ერთეულები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და დოკუნტების შინაარსის გათვალისწინებით დგინდება, რომ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. სკოლას 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალისა და მშობლების უფლებების დაცვის პროცედურა. სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის №01/03/89 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა აქტი. დოკუმენტების შენაარსის თანახმად აღწერილია საჩივრის მექანიზმები, საჩივრის განმხილველი პირი/ორგანო, აცილების განცხადება, გასაჩივრების სუბიექტი,

გასაჩივრების ვადები, წარმომადგენლობის უფლება, საჩივრის სახეები, საჩივრის ფორმა, გარემოებათა გამოკვლევა, გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. სკოლაში ვიზიტის პერიოდში შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა დისციპლინური წარმოების ამსახველი დოკუმენური მასალა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალის და მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის / განცხადების განხილვის მექანიზმი. უფლებეის დაცვის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები, პერსონალის კანონიერი უფლებები. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით:

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი;
2. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;
3. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
4. სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
5. სკოლის ექთანი;
6. თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
7. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული "პერსონალისა და მშობლების უფლებების დაცვის პროცედურა;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის სტრუქტურა წესდება/დებულება;
- „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება";
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- სადამრიგებლო დებულება;
- „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

- ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა აქტი;
- „სკოლის შიდა ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება“;
- „სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დებულება“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება. გასაუბრებისას მოსწავლეებმა, მშობლებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უკუკავშირს იღებენ, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით. სკოლა პერიოდულად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დადგენას/კვლევას. ასევე აღინიშნეს, რომ სკოლისთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში სკოლა წერილობითი ფორმით სცემს პასუხს. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგთა საბჭო, ექთნის შერჩევა ხორციელდება კომისიური წესით. დოკუმენტების შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უფლება - მოვალეობები, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა, შესაბამის საკითხებზე რეაგირება, გადაწყვეტილებების მიღება. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც შედგება საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან. თვითთმმართველობის დებულების შინაარსის თანახმად, მოსწავლეთა თვითთმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და სკოლის საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად მონაწილეობენ პედ. საბჭოს სხდომებში, სადაც განიხილება მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები.

დოკუმენტების შინაარსის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შესაბამისად დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის მოსწავლის თვითმმართველობის 2025 წლის 15 ოქტომბრის სხდომის ოქმი;
- სკოლის მოსწავლის თვითმმართველობის 2025 წლის 15 დეკემბრის სხდომის ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის კოორდინატორის სემესტრული ანალიზი;
- კათედრების დებულება;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- სადამრიგებლო საქმიანობის დებულება;
- სკოლისმშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის შენობა შემოღობილია. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ძირითადი ნაწილი იყო შესრულებული. ასევე სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი, სკოლის შიდა პერიმეტრი აღჭურვილი იყო ვიდეოკამერებით, თუმცა ვერ შეფასდა ვიდეოკონტროლის არეალი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიზიტის პერიდში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ახლომდებარე რაიონში, ორი შენობის ფარგლებში, მოსწავლეების გადაყვანა მიმდინარეობდა უსაფრთხოების ნორმების დაცვით სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით. ორივე მისამართზე გამოყოფილი იყო მანდატური, ერთ შენობაში ერთი, ხოლო მეორე შენობაში ორი მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფდნენს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. მოსწავლის გაკვეთილიდან გათავისუფლებამდე ხდება მოსწავლის მშობლის ინფორმირება. დიდი ყურადღება ეთმობა დამრიგებლის მიერ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენას. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში წესრიგს.სკოლას არ ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სპეციალისტები. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ დებულება, სსიპ - ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმი, სკოლის შინაგანაწესი. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია დარაჯის პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას.

სკოლას მიმართვა აქვს განხორციელებული უფლებამოსილ უწყებასთან შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლას **არ აქვს** უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობის სრულად რეაბილიტაციის და სამუშაოს მიღება - ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების შემდგომ, სკოლას მიეცემა შესაძლებლობა მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის“ შეთანხმების საკითხზე.

ვიზიტის პერიდში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის წარმომადგენელმა გამოხატა მზაობა დასკვნის მიღების თაობაზე და აღნიშნა, რომ შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულების და სამუშაოების მიღება - ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, შეძლებდა მდგრადობის დასკვნის მოპოვების მიზნით, შესაბამისი ორგანოსთვის მიმართვას.

სკოლამ არგუმენტირებლ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთოების შესახებ დასკვნის მოსაპოვებლად და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების ვადად განსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 30 დეკემბრისა, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოსგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხობის შესახებ დასკვნის მოპოვება;
რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 30 დეკემბრისა, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

რჩევა: სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ძირითადი სარემონტო სამუშაოები იყო შესრულებული. შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში გამოყოფილი არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სამედიცინო კაბინეტი. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლა ვიზიტის პერიდში სასწავლო პროცესს ახორციელებდა ახლომდებარე რაიონის ორ შენობაში, ორივე ობიექტზე განლაგებული იყო სამედიცინო კაბინეტი და აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. სკოლის მიერ მოწოდებული შესყიდვის დოკუმენტებითა და ინვენტარიზაციის აქტით დგინდება, რომ სკოლას გააჩნია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნებისთვის შესაბამისი სამედიცინო ინვენტარი/მასალა. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ექთანი, რომელიც ზრუნავს სასკოლო საზოგადოებისთვის პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. სასწავლო პროცესის განხორციელების ობიექტებზე სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო

მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს „პირველადი სამედიცინო დახმარების წესი / მექანიზმი, რითაც განისაზღვრება პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, პირველადი სამედიცინო რეაგირების წესი, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა და ა.შ. სკოლაში სწავლობს ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 1254 მოსწავლე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასურველია სკოლას მოემსახუროს 2 სამედიცინო პერსონალი.

რჩევა: სასურველია დაწესებულებამ, სამედიცინო კაბინეტი სრულად დააკომპლექტოს წესის შესაბამისად განსაზღვრული აღჭურვილობით/სახარჯი მასალით.

რჩევა: მოსწავლეთა რაოდენობის (1254 მოსწავლე) გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ საშტატო განრიგით განსაზღვროს და დაასაქმოს არანაკლებ 2 სამედიცინო პერსონალი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით'' გათვალისწინებულ ღონისძიებებს.„საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცის მიზნით“ გამოყოფილია 3 მანდატური. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმები“, რომლითაც განსაზღრულია დოკუმენტის მიზანი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, სკოლის ქონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.

სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი. ასევე სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებუი აქვს „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მექანიზმების შესახებ დებულება. სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია დარაჯის პოზიცია, რომელიც ზრუნავს უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე. სასკოლო საზოგადოებამ აღნიშანა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს განაწილებულნი არიან მორიგე მასწავლებლები სართულების მიხედვით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა გადაადგილებას და უზრუნველყოფენ საფრთხეების თავიდან აცილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შინაგანაწესისა და სხვა დებულებების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. გარდა ამისა, დაწესებულებაში შეინიშნება მშობლების ჯანსაღი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მათი მჭიდრო კონტაქტი დამრიგებლებთან, რაც პრობლემების მოგვარების და ჯანსაღი კლიმატის შექმნისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად სამუშაოები დასრულებული იყო. შენობის დათვალიერებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის შენობაში გამოყოფილია სანიტარული კვანძები, მათ შორის სპეციალური საჭიროებეის მქონე მოსწავლეთათვის. საპირფარეშოებსა და ადაპტირებულ ტუალეტებში არის ონკანები, ნიჟარები და სხვა საჭირო რესურსი. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია განათების უწყვეტი მიწოდებით. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები“, რითაც განსაზღვრულია სანიტარულ - ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფა, სისუფთავისა და დეზინფექციის კონტროლი, სასმელი წყლისა და კვების ჰიგიენა, ინფექციური დაავადებების პრევენცია, პერსონალის ინსტრუქტაჟი და პასუხისმგებლობები, მონიტორინგი და დოკუმენტირება, პასუხისმგებლობა და რეაგირება და ა.შ. სკოლას ჰყავს დამლაგებლები, მათ ხელშეკრულებაში გაწერილია ფუნქცია - მოვალეობები. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია დამლაგებელის, ექთნის, დარაჯის და სხვა საშტატო ერთეული. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების დაცვა, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა მატერიალური და ელექტრონული ჟურნალის არსებობის შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვა შენობაში შესვლის და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა პირადი ბაზის წარმოებისას, მონაცემების წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა დაცვის მონიტორინგი და ა.შ. სკოლას ბრძანებით ასევე განსაზღვრულია „პერსონალური მონაცემებზე პასუხისმგებელული პირი“. სკოლის სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად და ელექტრონული ჟურნალით. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ საქმისწარმოებასა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლის ხელთ არსებული მონაცემები დაცულია შემთხვევითი, ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოქვეყნებისგან. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. ***ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“ სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გაუმჯობესებისთვის გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული „საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება“;
- სკოლასა და ექთანს შორის გაფომებული შრომითი ხელშეკრულება;
- საშტატო განრიგი;
- „სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის № 01/03/87 ბრძანება თანდართულ დანართთან ერთად;
- „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის № 01/03/98 ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი/მექანიზმი;

- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;
- უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმი;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და დამლაგებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნიმუში;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის დირექციის წევრებს, ადმინისტრაციასა და შტატგარეშე მუშაკებს შორის ფუნქციებისბ განაწილების შესახებ;
- უფლებამოსილ უწყებასთან შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ სკოლის მიმართვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ერთ მისამართად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (მისამართი, ქალაქი ბათუმი, ვლადიმირ მაიაკოვსკის ქუჩა, №58, საკადასტრო კოდი: 05.29.43.041); სკოლის მიწის ტერიტორია შეადგენს 6039 კვ.მ და მასზე განთავსებულია შენობა - ნაგებობა ფართით 7575.84 კვ.მ. სკოლას სახელმწიფოსგან ქონება გადაცემული აქვს არსებობის ვადით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო (დაგებული იატაკი, მოპირკეთებული ჭერი და კედლები), მიმდინარეობდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები, ინვენტარის იყო შესატანი და დასამონტაჟებელი, ასევე დარცენილი იყო სხვა მცირე სარემონტო სამუშაოები. სამუშაოები მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენელმა და სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ სამუშაოების სრულად დასრულებისთვის კომპანიას დასჭირდებოდა დაახლოებით მაისის ბოლომდე პერიოდი, რის შემდეგაც დაიწყებოდა ინვენტარის შეტანა და მონტაჟი. სკოლის დირექტორის განცხადებით, სასწავლო პროცესი სკოლის შენობაში ***განახლდებოდა ახალი სასწავლო წლიდან.*** ვიზიტის პერიოდში განხორციელდა როგორც სკოლის შენობის, ასევე სასწავლო პროცესის განხორციელების ობიექტების დათვალიერება. სკოლის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ ძირითადი სამუშაოები დასრლებულია, შესატანია ინვენტარი. სკოლის შენობა არის სამ სართულიანი, ასევე სკოლას აქვს ნულოვანი სართული (სარდაფი), სკოლის სამივე სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები, ჯამში 42 საკლასო ოთახი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, 3 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (თოთოეული მიმართულებისთვის ცალ - ცალკე), განთავსებულია სივრცე ბიბლიოთეკისთვის, სამედიცინო კაბინეტი, ღონისძიებების დარბაზი, 2 რესურს ოთახი, ღონისძიებების დარბაზი, სპორტული დარბაზი, სივრცე სასადილოსთვის, სადაც გამოყოფილია პროდუქტების შესანახი სივრცეები, საკვების მომზადების სივრცეები. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეების კვების მომსახურებას. სკოლის შენობაში აღნიშნული ოთახები გარდა ასევე გათვალისწინებულია სამასწავლებლო, დირექტორის, ბუღალტრის, საქმისწარმოების და სხვა ადმინისტრაციული პერსონალისთვის გათვალისწინებული სამუშაო ოთახები / სივრცეები. სკოლის შენობაში განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილი. სკოლას აქვს ეზო როგორც შენობის წინა, ისე უკანა მხარეს. სკოლის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სპორტული მოედანი. სკოლის შენობის შესასვლელს აქვს პანდუსი, ასევე დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, სასმელი წყალი, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. შესაბამისად, სკოლას აქვს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სკოლის მიერ მოწოდებული შესყიდვის და ინვენტარიზაციის აქტებით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობაში სასწავლო პროცესის ახალი სასწავლო წლიდან განახლების შემდეგ, სასწავლო პროცესი რეაბილიტირებულ შენობაში განხორციელდებოდა ორ ცვლაში. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, როგორც აღინიშნა, სკოლის მოსწავლეთა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ახლო მდებარე რაიონში, კერძოდ ხელვაჩაურის რაიონში, ქვემო ახალშენის საჯარო სკოლაში და ორთა ბათუმის საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა გადაყვანა ხორციელდებოდა სატრანსპორტო საშუალების მეშეობით და

სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა 2019 წლით დათარიღებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია დაწესებულებამ განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ისეა მოწყობილი, რომ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის განხორციელების დროს შეუზღუდავად შეეძლოთ ესარგებლათ სკოლის ბიბლიოთეკით და სხვა სივრცეებით (ვიზიტის პერიოდში, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო სასწავლო პროცესი არ ხორციელდებოდა). ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან გასაუბრებითა და სკოლის შენობის დათვალიერებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი". აღნიშნული წესით განისაზღვრება წესის მიზანი და ამოცანები, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, მკითხველის და ბიბლიოთეკის ვალდებულებები, ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია და ა.შ. შესყიდვის აქტებითა დ სკოლას გააჩნია საბიბლიოთეკო რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სკოლის შენობაში გამოყოფილია სივრზე ბიბლიოთეკისთვის.

ყველა მოსწავლე სრულადაა უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთკო სერვისის მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობის პირველი სართული და შესასვლელი ადაპტირებულია. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილები. რაც შეეხება მეორე და სხვა სართულებზე გადაადგილებისთვის დამონტაჟებულია ლიფტი. შენობის მე-2 და მესამე სართულებზე გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიისთვის, ბიბლიოთეკისთვის და რესურს ოთახისთვის სივრცე, შესაბამისად მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეს წვდომა ჰქონდეთ მატერიალურ - ტექნიკურ რესურსებთან. ვიზიტის პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ვერ მოხერხდა ლიფტის მუშაობის შემოწმება, სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობის სრულად რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა ლიფტის ექსპლუატაცია.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და სკოლის ლიფტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა პერიოდი.
რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა, უზრუნველყოს შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ამოქმედება/გამართული ფუნქციონირება, რათა შექმნილი იყოს სწავლის ინკლუზიური გარემო.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის შენობა, ეზო, გარე მოედანი, ღონისძიებების დარბაზი, ფოიე), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში მოქმედ წრეებში და ასევე მოქმედებს სხვადასხვა საგნობრივი კლუბები. იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ შეთავაზებული არაერთი პროექტი და ღონისძიება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლის შენობის დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის გეგმარების დოკუმენტი;
- შესყიდვების დოკუმენტები;
- ინვენტარიზაციის მასალა;
- „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესების“ დამტკიცების შესახებ სკოლის სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება;
- ლაბორატორიაში მუშაობის წესი / მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დირექცია, საქმისმწარმოებელი და სხვა ადმონისტრაციული პერსონალი საქმიანობის განხორციელების მიზნებისთვის იყენებს შესაბამის ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ინვენტარიზაციის და შესყიდვის აქტებით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიები. ვიზიტის პერიოდში, შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში გამოყოფილია სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიისთვის, თუმცა არ იყო დამონტაჟებული შესაბამისი კომპიუტერული და ინფორმაციულ ტექნოლოგიური რესურსი, შესაბამისად ვერ მოხერხდა ინფორმაციული ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესში სრულფასოვანი

წარმართვის შეფასება. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სარემონტო სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, განხორციელდებოდა კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟი. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და კომპიუტერული ლაბორატორიით სკოლის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა პერიოდი.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა უზრუნველყოს კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსი. სკოლას შემუავებული აქვს „სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ , რითაც განსაზღვრულია რესურსებით სარგებლობის ზოგადი წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობა, კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობა, სკოლის მატერიალური რესურსის გამოყენება, სკოლის არამატერიალური რესურსის გამოყენება, უფლებები და პასუხისმგებლობები და ა.შ. , ვიზიტის პერიოდში, შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში გამოყოფილია სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიისთვის, თუმცა არ იყო დამონტაჟებული შესაბამისი კომპიუტერული და ინფორმაციულ ტექნოლოგიური რესურსი, შესაბამისად ვერ მოხერხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრტუქტურით მოსწავლეთა უზრუნველყოფის შეფასება. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სარემონტო სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, განხორციელდებოდა კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟი. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მოსწავლეებისთვის ინფორმაციულ *ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა პერიოდი.*

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა, უზრუნველყოს კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონტაჟი, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის მასალა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღება - ჩაბარების დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება „საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. ასევე ბრძანების დანართის სახის მოწოდებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, საქმისწარმოების ფორმას, შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, მატერიალურ დოკუმენტბრუნვას. აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების მტკიცებულებების მიხედვით, სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს ელექტრონული პლატფორმის eflow სისტემის მეშვეობით, ბრძანებების წარმოება და რეგისტრაცია მიმდინარეობდა მატერიალური სახით, რაც შემდგომ თავსდება ელექტრონულ eflow სისტემაში. რაც შეეხება ხელშეკრულებებს (პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მოსწავლეთა მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები) მათი წარმოება მიმდინარეობს მატერიალური სახით, რაც შემდგომ აღირიცხება /რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, ასევე განხორციელდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან, რომელმაც აღწერა საქმისწარმოების პროცესი, ასევე განხორციელდა

ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების სისტემის/პროცესის რევიზია, რითაც დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (EFLOW). სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის ბრძანებები (მატერიალური ფორმით მომზადების და რეგისტრაციის შემდეგ იტვირთება ელექტრონულ სისტემაში), ცნობები რეგისტრირდება საქმისმწარმოებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში. უწყებებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. eSchool-ის სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, დასაქმებული პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. დგინდება, რომ სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინფორმაცია თანამშრომლების, მოსწავლეების, კლასების, საგნების, საგაკვეთილო ცხრილის და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება განსაზღვრული/მოთხოვნილი ვადების დაცვით. დოკუმენტბრუნვის სისტემაში არსებული წერილების/მიმოწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებსა და თანამშრომლობს მათთან. საქმისმწარმოებელმა აღწერა შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების მექანიზმები, შემოსული კორესპოდენციის გადამისამართება შესაბამის პირზე, პერილის პროექტის მომზადება და მიწოდება შესაბამისი ორგანოსთვის/პირისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული EFLOW სისტემა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool;
- „საქმისწარმოების ინსტრუქცია“.
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის ბრძანება „საჯარო სკოლის დირექციის წევრებს, ადმინისტრაციასა და შტატგარეშე თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ“.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/301?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%965%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90, სოციალურ ქსელში შექმნილია სკოლის გვერდი, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. სკოლას შექმნილი აქვს საკუთარი ვებ - გვერდი, სადაც დაწყებულია სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „სასკოლო საზოგადოების ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის შინაარსი ითალისწინებს ინფორმაციის გავრცელებას ინტერნეტ რესურსების: ელ. ფოსტა და სოციალური ქსელის მეშვეობით. ვებ - გვერდის, სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს საკომუნიკაციო საშუალებების საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციის მიზნით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. სკოლის ვებ - გვერდზე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, საჩივრის ადა განცხადების განხილვის წესი, ინდ. გეგმის მონიტორინგის რეგულაციები, ადაპტაციის წესი და სკოლის საქმიანობის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლის მოსწავლეებმა და მოსწავლეთა მშობლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლისგან იღებენ ინფორმაციას სასკოლო პროცესის, სხვადასხვა სახის აქტივობების/ღონისძიებების, პროგრამების და ა.შ შესახებ. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის პერიოდში, მშობლებმა, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან ხშირად იმართება შეხვედრები, ასევე მოსწავლეებს ხვდება დამრიგებელი და იღებს უკუკავშირს მათი საჭიროებების და კმაყოფილების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ზეპირსიტყვიერად მიღებული ინფორმაცია, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებები, განიხილება სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)“. სკოლას ასევე შემუშავებულია აქვს, „სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის შინაარსით გათვალისწინებულია საზოგადოების უკუკავშიის შედეგები და ანალიზი, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები, ინფორმაცია აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლას შექმნილი აქვს საკუთარი ვებ - გვერდი, სადაც დაწყებულია სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ასევე ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/301?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%965%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, სამოქმედო და განვითარების გრძელვადიანი გეგმა, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური ანგარიში და ა.შ. სკოლას სრულად აქვს განთავსებული აღნიშნული ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი skolebi.emis.ge;
- „სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)“;
- „სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ. პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ვაუჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან და სხვა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად; გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმების, პროექტების, სამოქმედო გეგმით გავალისწინებული განსახორციელებელი აქტივობებისთის საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც დგება გასული პერიოდის ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ბათუმის № 5 საჯარო სკოლის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადი;

- 2025 წლის ფინანსური ანგარიში;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის № 5 საჯარო სკოლის 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის ოქმი (2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისშესახებ);
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის ოქმი (2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტამდე მოსწავლის უფლებების რეალიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, კერძოდ: სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია, დოკუმენტების წარდგენის ვადები, ჩარიცხვის მიზნით წარსადგენის დოკუმენტაცია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების

აღიარება და მსწავლეთა ჩარიცხვა, სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა, მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, დისციპლინური წარმოების წესები და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. სკოლას დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლითან განსაზღვრულია მხარეთა უფლება - მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიეერთობის ფორმა და პრინციპები, საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი". ვიზიტის დროს, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს/ღონისძიებებს მათი უფლებების დაცვის მიზნით, ტარდება შეხვედრები, უფლებების დაცვის კუთხით ტარდება საჯარო ლექციები, მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ღონისძიებებში/აქტივობებში როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები საჯაროა, სკოლას აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ განთავსებული აქვს სკოლის ვებ - გვერდზე. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ სკოლა რეგულარულად აცნობს რეგულაციებს, ასევე სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება". კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა აქტი", რითაც განისაზღვრება დოკუმენტის მოქმედების სფერო, მოსწავლის ძირითადი უფლებები, მოსწავლის კანონიერი ინტერესები, მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის განხილვის წესი, პასუხისმგებლობა და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლაში ვიზიტის დროს, შერჩევითი პრინციპით შესწავლილ იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება - მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიოა. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება ხელმოწერილი სახით ინახება შესაბამის საქაღალდეში, ასევე ხელშეკრულებები რეგისტრირებულია და მინიჭებული აქვს შესაბამისი ნუმერაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- „მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი“;
- მოსწავლის მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- „მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შიდა აქტი“.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტამდე მოსწავლის უფლებების რეალიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, კერძოდ: სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია, დოკუმენტების წარდგენის ვადები, ჩარიცხვის მიზნით წარსადგენის დოკუმენტაცია, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და მსწავლეთა ჩარიცხვა, სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა, მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესით რეგულირდება მოსწავლის ჩერიცხვიდან სტატუსის შეწყვეტამდე განსახორციელეებლი პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებების, მობილობის, საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მართვის საინფორმაციო სისტემა სადაც ფიქსირდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელ შესაბამის პროცედურებს. სკოლის ადმინისტრაცია, საქარტელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს მოსწავლეთა პირად საქმეს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სპორტულ აქტივობებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედგად დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები, კლუბები. სკოლის ვებ - გვერდზე განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები და სხვა ინფორმაცია. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტის მიზანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრონციპები,

ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები, შიდა და გარე კომუნიკაცია, კომუნიკაცია მოსწავლეებთან, ვიზიტორები და შიდა შეხვედრები, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული წრეების, კლუბების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის მიერ რეგულარულად. სკოლის ვებ - გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ასევე მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლის პირადი საქმე;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება „სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის ბრძანება „მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მოსწავლის მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის #01/03/96 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი", წესის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, საშუალო/საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესიას განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლა აღნიშნულ მექანიზმებს უზიარებს მშობლებს და მათთან თანამშრომლობით გეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი დოკუმენტით "სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესით", დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ასევე გასაუბრებისას

მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა აცნობს მოსწავლეთა ადაპტაციიის მექანიზმს და წარმატებულად ხორციელდება ღონისძიებების დაგეგმვა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი; მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას, ინფორმირებულობას, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობას, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს. ასევე ექსტერნების გამოცდების შემთხვევაში გათვალისწინებულია საგნების შესაბამისი კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას დამტკიცებული აქვს საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია აქტივობები, რომელსაც სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის, მათი სასწავლო პროცესში, შემოქმედებით და გარე აქტივობებში ჩართვის მიზნით. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გადამოწმდა შერჩევითობიოს პრინციპით მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად ასახულია სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებით. ასევე, მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სკოლის ერთ - ერთ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე ზრუნვა, სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: ***სასურველია სკოლამ სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის საჩივრისა და განცხადების განხილვის წესში შეიტანოს ცვლილებები და უფრო მეტად გამოკვეთოს, სკოლის საქმიანობის შესაბამისად, მისი როლი საჩივრებისა და განცხადებების განხილვის პროცესში.***

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა ზრუნავს დამატებითი სერვისების განვითარებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება. სკოლამ წარმოადგინა პროექტების მასალა, რასაც ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ინიციატივების მხარადჭერის მექანიზმი“, რომლის მიზანია განისაზღვროს სკოლის მხრიდან მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობის პროცესი. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები, ინიციატივის წარდგენის პროცედურა, კლასის დამრიგებლის როლი და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: ***სასურველია სკოლამ “მოსწავლის ინიციატივების მხარადაჭერის მექანიზმების“ დოკუმენტში, გაასწოროს სკოლის სახელწოდებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი (მუხლი: ზოგადი დებულებები).***

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სასკოლო პროექტების განხორციელების დროს ხდება შუალედური და საბოლოო მონიტორინგი. აქტივობების განხორციელებისას კათედრები და მასწავლებლები ამზადებენ რეფლექსიებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხდება მომავალი პროექტების დაგეგმვა. ასევე გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების კვლევას ზეპირსიტყვიერი სახით. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ შემუშავებულია აქვს შეფასების მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი და დაიწყებენ მუშობას კმაყოფილების კვლევის დანერგვაზე. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის წესდება, რითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სკოლის პროცესები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შეფასების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის #01/03/96 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი";
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლეთა ინიციატივების მხარადჭერის მექანიზმი";
- სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის წესდება;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება „სადამრიგებლო საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ" და თანდართული დანართი;
- საავტორო აქტივობები (სასკოლო კონფერენციის დაგეგმვა და განხორციელება).

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია „სადამრიგებლო საქმიანობის დებულება" რიმლითაც განსაზღვრულ, დამრიგებლის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეთათვის დახმარების აღმოჩენა მომავალი პროფესიის არჩევაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა. ასევე მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ხშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ პროფესიების და მათი მნიშვნელობის შესახებ. სკოლას თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები. დოკუმენტაციის შეწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება კარიერული დაგეგმვის საკითხზე გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ. დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია „სადამრიგებლო საქმიანობის დებულება“ რომლითაც განსაზღვრულ, დამრიგებლის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეთათვის დახმარების აღმოჩენა მომავალი პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის წესდება, რითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სკოლის პროცესები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შეფასების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლის მოსწავლეებმა გასაუბრებისა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს კმაყოფილების კვლევას ზეპირსიტყვიერად, სკოლამ აღნიშნა, რომ გეგმავს კმაყოფილების კვლევის ჩატარებას კითხვარების მეშვეობით. მშობლებთან შეხვედრის ოქმებით დასტურდება , რომ სკოლა ახორციელებს გაწეული მომსახურების შეჯამებას და გეგმას შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია „სადამრიგებლო საქმიანობის დებულება“;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის წესდება;
- მე-10 „გ“ კლასის მშობლებთან შეხვედრის ოქმი (16.1.2026 წელი).

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის რეგულაცია" სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის #01/03/62 ბრძანებით დამტკიცებული. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია და ა.შ. სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი". სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.
ვიზიტის პერიოდისთვის სკოლაში ირიცხებოდა 22 სსსმ მოსწავლე. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის რეგულაცია" სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის #01/03/62 ბრძანებით დამტკიცებული. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია და ა.შ. სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი". სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო სასწავლო გეგმაშ გატვალისწინებულია" ინკლუზიური განათლება, სკოლის ხედვის შინაარსის თანახმად, სკოლის ხედვაა მოსწავლის ჰოლისტური განვითარება (აკადემიური, სოციალური, ემოციური და ეთიკური) უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გარემოში. დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების

მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის რეგულაცია";
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 1 დეკემბრის ბრძანება „სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული წლის დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   ავტორიზაციის ვიზიტის პერიდში, სკოლის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ხელვაჩაურის რაიონში 2 შენობაში, მოსწავლეთა გადაყვანა შესაბამის მისამართამდე ხორციელდებოდა სატრანსპორტო საშუალებებით. სხვა სახის დამატებით მომსახურებას სკოლა ვიზიტის პერიდში არ ახორციელებდა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ინიციატივით სარგებლობის დროს გამოიყენებს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ზომებს, მშობლის ნებაყოფლობითობის გათვალისწინებით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი/არასავალდებულო მომსახურების გაწევა მოხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის გონებრივ, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლაში ვიზიტის ეტაპზე, აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 2 შენობაში, ორივე შენობაში უსაფრთხოების და წესრიგის ნორმების დაცვას უზრუნველყოფდნენ მანდატურები. სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი.

   სკოლას შემუშავებლი აქვს „უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმები“, დოკუმენტით განსაზღვრულია მიზნები, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, სკოლის ქონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლას ჰყავს დარაჯი და განსაზღვრულია დარაჯის ფუნქციები, რომელიც ემსახურება უსაფრთოების ადა წესრიგის დაცვას. დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - ქალაქ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის დირექციის წევრებს, ადმინისტრაციასა და შტატგარეშე თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ ბრძანება და თანდართული დანართი;

- „უსაფრთხოების პოლიტიკის მოქმედების მექანიზმები“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში მოქმედი კურიკულუმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია წარმოადგენს სისტემურ და თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებულ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან დაგეგმვასა და განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების ინტეგრირება: მეთოდოლოგია ქმნის მყარ საფუძველს სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. პედაგოგიური საბჭოს N1 ოქმით დასტურდება, რომ სკოლის პრიორიტეტები და ხედვა მუდმივად თანხვედრაშია რეალურ საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ვალიდურობასა და საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას, რაც დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური მუშაობითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) დროული შემუშავებით. მეთოდოლოგია მასწავლებელს აძლევს საჭირო მოქნილობას, რათა სასწავლო რესურსები და აქტივობები მოარგოს კლასის კონტექსტს.

მეთოდოლოგია ეფუძნება კურიკულუმის განვითარების უწყვეტ ციკლს (დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, რევიზია). ეს მიდგომა სკოლას საშუალებას აძლევს, არ შემოიფარგლოს სტატიკური გეგმით და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მოახდინოს შინაარსის პერიოდული განახლება და გაუმჯობესება.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ხასიათდება მაღალი კოლეგიურობით. საგნობრივი კათედრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მუშაობა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის გაზიარებასა და პროცესის გამჭვირვალობას, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და სასკოლო კულტურის განმტკიცებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩარჩო სრულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების ასახვას სასწავლო პროცესში, რაც ქმნის მყარ გარანტიას ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული განათლების მისაღებად.

შენიშვნა: ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დიფერენცირებულ მიდგომას მეტწილად აიგივებს ინკლუზიურ განათლებასთან (სსსმ და დაბალი მოსწრების მოსწავლეთა მხარდაჭერა). დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მკაფიო სტრატეგია და მეთოდოლოგიური ინსტრუქცია **მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა** პოტენციალის რეალიზებისთვის. (თუმცა კურიკულუმის განხორციელების ნაწილში მაღალ აკადემიურ მოსწრების მოსწავლეთა საჭიროებების დიფერენცირება სახეზეა). დიფერენცირების ასეთი ვიწრო გაგება ეწინააღმდეგება სტანდარტის მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის თანაბარ ხელმისაწვდომობასა და განვითარების შესაძლებლობას ყველა კატეგორიის მოსწავლისთვის. სასურველია დოკუმენტში სამომავლოდ გამოსწორდეს ინკლუზიის და დიფერენცირების ცნებების აღრევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმში საზოგადოების ინტერესების ასახვა დასტურდება საგნობრივი მატრიცებით; სასწავლო თემები და კომპლექსური დავალებები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას; წარმოდგენილი ისგ-ები და მულტიდისციპლინური გუნდის სამუშაო აღწერილობის პროცედურები ნათლად მეტყველებს წარმატებულ საქმიანობაზე. კურიკულუმის პრიორიტეტები მჭიდრო კავშირშია სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება გუნდური პასუხისმგებლობის გაზიარების პრინციპს. პროცესი წარდგენილია რამდენიმე დონეზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის რეალურ ჩართულობას:

- **საგნობრივი კათედრების დონეები (პირველადი რგოლი):** კურიკულუმის მთავარი ბირთვი — საგნობრივი მატრიცები და თემატური გეგმები — იქმნება უშუალოდ საგნების მასწავლებლების მიერ კათედრაზე. წლიური სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ მასწავლებლები კოლეგიურად მსჯელობენ წლის და საფეხურის ბოლოს მისაღწევი მიზნების შესასრულებელად რესურსების მობილიზებასა და სხვადასხვა ტიპის დავალებების კონტექსტუალიზაციაზე.
- **ხარისხის მართვისა და მონიტორინგის ჯგუფი:** სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციის უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლების კონსულტირებას და მხარდაჭერას, რომლიც კათედრის მიერ მომზადებული დოკუმენტის ფარგლებში შესაბამისობაში უნდა იყოს სკოლის საერთო ხედვასთან. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა ხარისხის ჯგუფის მუშაობის პრაქტიკა.

- **ადმინისტრაციული და კანონის მხარდაჭერა:** სკოლის შინაგანაწესისა და მართვის ორგანოების ფუნქციები არეგულირებს პროცესის გამჭვირვალობას. კურიკულუმი განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს, როგორც სასკოლო საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. პედაგოგიური საბჭოზე ხდება კურიკულუმის საბოლოო განხილვა და ვალიდაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის საჯაროობა და გაზიარება უზრუნველყოფილია მრავალარხიანი კომუნიკაციის სისტემით. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების ფორმებს, შეხვედრების ორგანიზებას, კომუნიკაციას მედიისა და ვებგვერდის საშუალებით. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე რეგულარულად განიხილება კურიკულუმის შექმნისა და დახვეწის პროცესი. დამრიგებლების ოქმები ადასტურებს, რომ მშობლებს ეცნობებათ სასწავლო გეგმები, მიმდინარე ცვლილებები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოების სხდომებზე განხილულია კურიკულუმთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და გადაწყვეტილებები. შედეგად, კურიკულუმი არის ფართოდ გაზიარებული დოკუმენტი, რომელიც ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა ;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1 (08.09.2025) ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება ;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) .

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი ფოკუსირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი ტემპითა და ინდივიდუალური შესაძლებლობების ფარგლებში განივითაროს ფუნქციური უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო), რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ შემოქმედებითი დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმები (გეოგრაფია, მოქალაქეობა, ისტორია) რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, ძირითადად არის მოსწავლეზე ორიენტირებული. შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა

	მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ შემოქმედებითი დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევები:** სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ფორმულირებული იქნება იდეების დონეზე (კონცეპტუალურად). ნათლად იყოს გამოკვეთილი დიფერენცირების მაგალითები და სტრატეგიები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო საერთო უნდა იყოს კათედრაში შემავალი ყველა საგნისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურის როგორც პირველი ისე მეორე უცხო ენის კურიკულუმი,კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაბამისად. სადაც მოცემულია მორგებულია მოსწავლეთა ასაკსა და მათ ინტერესებზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მუშაობენ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ დავალებებზე. ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. პედაგოგები საუბრობენ თუ როგორ წარადგენენ დავალებას მოსწავლეების წინაშე და რა ეტაპებს გადიან დავალების განხორციელებისა და წარდგინებისთვის ,რაც აშკარად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სტრუქტურული ერთეულები გამართულია: კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების იდეები და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსები. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი მიმართულია მოსწავლის სწავლების პროცესის დაგეგმვაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში

	გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნის კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მათემატიკის სტანდარტის მიზნების შესაბამისად და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სკოლაში შემუშავებულ კურიკულუმებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი ისეთი სასწავლო მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე. ეს ხელს უწყობს ცოდნის უფრო ღრმა და პრაქტიკულ გააზრებას. ასევე, ასეთი მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალურად განვითარდნენ, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი იდეები და ჩამოუყალიბდეთ ის მნიშვნელოვანი უნარები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული როგორც სწავლის საბოლოო შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის

	შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივ კურიკულუმებში თემები უმეტესად გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები, შემოქმედებითი ბუნების დავალებ ების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებუ რებები.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური ტიპის შემოქმედებითი დავალებები. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისად დააზუსტეთ თემები და სამიზნე ცნებები.წიგნის პარაგრაფების ჩამოწერის მაგივრად საკითხები დააჯგუფეთ ქვეცნებები შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება.

	მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაზო საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	უცხო ენის სწავლება სკოლაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს .კურიკულუმი აგებულია სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაყრდნობით. ყველა დავალება დაფუძნებულია საგნობრივ სტანდარტით განსაზღვრული ლექსიკური და გრამატიკული მასალის ფუნქციურად გამოყენებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ტიპის დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუითი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **რჩევა:** (საბაზო, საშუალო) IX და X კლასების კურიკულუმებში სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს „კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამის სვეტებს, მეტი სიცხადით ჩანდეს შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და დავალების იდეა/პირობები. ყველა დაგეგმილ დავალებას კი თან ერთვოდეს დავალების იდეა, სადაც იქნება გამოკვეთილი თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა. თემების ჩამოთვლისას კი გათვალისწინებული იქნას სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის ფარგლებში სავალდებულოდ დასამუშავებელი თემები. **რჩევა:** (დაწყებითი) სასურველია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის, კერძოდ მათემატიკის სტანდარტის თანახმად, ყველა სავალდებულო სასწავლო თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. მაგალითად, III კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემებში „რიცხვები, რიცხვები 1000-ის ფარგლებში„ და „გეომეტრიული ფიგურა“-ში არ მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები (შემოქმედებითი ბუნების დავალებები), საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს როგორც მატერიალური, ისე ტექნიკური რესურები, ისტისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

	რჩევა: სასურველია "ჩვენი საქართველო" კურიკულუმში რესურსების სვეტი გამოირჩეოდეს მრავალფეროვნებით. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ციფრული რესურსის აქტიური გამოყენება, მათ შორის: ვიდეოგაკვეთილების, ონლაინბიბლიოთეკების, საგანმანათლებლო აპლიკაციებისა და ინტერაქციული პლატფორმების საბაზო საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ასევე ციფრული რესურსები საგანმანათლებლო პლატფორმები რომლებიც აძლიერებს სწავლა-სწავლების პროცესს. თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. ბიბლიოთეკა, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. სკოლა იყენებს ბიბლიოთეკას, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში, რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს არა მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოებს, არამედ ელექტრონულ მასალებს, დამხმარე ლიტერატურასა

	და ვიდეორესურსებს. ზოგადი პლატფორმების (მაგ. YouTube.com) ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს პირდაპირი ბმულები (URL), რაც უზრუნველყოფს მასალებზე სწრაფ და შეუფერხებელ წვდომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენის ძირითად სასწავლო რესურს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოები თუმცა ასევე იყენებენ როგორც მატერიალურ ისე ციფრულ რესურსებსაც ამას ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ვიდეო თუ აუდიო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები, (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი,რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, მასწავლებლების მიერ შექმნილი საავტორო ელ. რესურსები და სხვა.). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია

	მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმი სრულად ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც გამოიხატება სსსმ მოსწავლეებზე ადაპტირებული სასწავლო მიზნებითა და აქტივობებით. სწავლის პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომები და რესურსები უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ ჩართულობასა და ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ბათუმის N 5 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში.

	რჩევა: სასურველია სასწავლო პროცესის ძირითადი კომპონენტების (შინაარსი, პროცესი, პროდუქტი, სასწავლო გარემო) მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე. მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა, რაც ხელს შეუწყობს მათ ავტონომიურობას, მაღალ ჩართულობასა და საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღებას. საბაზო საფეხურზე ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. საშუალო საფეხურზე ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით,მათთვის არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. კერძოდ: ასწავლო მასალის სირთულისა და მოცულობის განსაზღვრა მოსწავლის მზაობის მიხედვით; სწავლის სხვადასხვა სტრატეგიისა და ტემპის შეთავაზება; მოსწავლეებისთვის თავისუფლების მიცემა კომპლექსური დავალების შესრულების ფორმის შერჩევისას; ფიზიკური ან ციფრული სივრცის ადაპტირება ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის ეფექტურობისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის აქტივობები რომლებსაც ახორციელებენ ისინი სასწავლო პროცესის დროს. საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში

	ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. ასევე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი სურვილზე და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აირჩიონ დავალების წარდგენის ფორმატი ეს იქნება ციფრულად თუ მატერიალურად ,რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები სხვადასხვა კლასებში, სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიადუალური სასწავლო გეგმა . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირის გამო უფრო მარტივად ახერხებენ და სწავლებისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის კლუბი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად ჩაერთონ დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებში, განივითარონ პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას

	აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ასახავს მოსწავლეთა აქტუალურ დონეს, განსაზღვრავს გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს და უზრუნველყოფს სწავლების ადაპტირებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს ცალკეულ საგნებში აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის, ასევე ადაბტირებული დავალებების შექმნისა და რეალურად გამოყენების გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დანერგილი შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და ორიენტირებულია ფუნქციური უნარების განვითარებაზე. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები ვალიდურია და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული თუ თეორიული მიღწევების ობიექტურ ასახვას საგნობრივ კონტექსტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო

	მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა:** საბაზო საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს კონსტრუქციული უკუკავშირის სამკომპონენტიან პრინციპს: დაზუსტება (რა გაკეთდა), წახალისება (რა არის კარგი) და რჩევა (რა და როგორ უნდა გაუმჯობესდეს). სხვადასხვა

	სასწავლო აქტივობისა თუ კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი (ე.წ. SMART პრინციპი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამივე საფეხურის კურიკულუმებს თან ახლავს განმავითარებლი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც სრულიად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები სხვადასხვა კლასებში, სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.. წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა

	ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კათედრას მეტწილად წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. რა თქმა უნდა, წარმოიდგენილია ზოგიერთ შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკაც **<u>რჩევა:</u>** დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის გაიზარდოს ისეთი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რაოდენობა, რომლებიც კონკრეტულ (კურიკულუმში წარმოდგენილ) დავალებებზე იქნება მორგებული. კრიტერიუმების შემუშავებისას პედაგოგებმა უფრო მეტად გაითვალისწინონ საგნის სტანდარტში მოცემული გრძელვადიანი მიზნები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას იხელმძღვანელონ დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის სტანდარტების შესაბამისად და ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. საგნობრივი შინაარსი და აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **საბაზო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა

	შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცის , მოსწავლეთა ნამუშევრებისა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უცხო ენის კათედრა სასწავლო პროცესს წარმართავს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე

	ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები

	და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ვინაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას განსაზღვრული აქვს მდგრადობისა და ადაპტაციის მექანიზმები. *„კურიკულუმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია“* მე-9 მუხლი განსაზღვრავს კურიკულუმის რევიზიის ეტაპს. სკოლა არ იყენებს სტატიკურ გეგმას, მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ხარვეზების ან ახალი საჭიროებების შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის გადახედვა. ეს ნიშნავს, თუ სასწავლო პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს უჭირთ განსაზღვრული მიზნების განსაზღვრული საშუალებებით მიღწევა შესაძლებელია გეგმის მოდიფიცირება. *პედაგოგიური საბჭოს N1 (08.09.2025)* ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება 24 სსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) პირველად შემუშავების წესის შესახებ, არის მოქნილობის პირდაპირი მაგალითი. ხარისხის ჯგუფის დებულება მიუთითებს თუ საჭირო გახდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების მოთხოვნა ან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ჯგუფი ვალდებულია ადმინისტრაციას მიაწოდოს შესაბამისი მოქმედების გეგმა. სკოლის შინაგანაწესში ასახულია *მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები*, რომლებიც

უზრუნველყოფს, რომ მშობლის ან მოსწავლის ნებისმიერი დასაბუთებული მოთხოვნა (საჭიროება) დროულად მივიდეს ადმინისტრაციამდე.

სკოლის მოქნილი რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე დასტურდება შემუშავებული კურიკულუმის განვითარების დინამიური მოდელით, რომელიც ითვალისწინებს რევიზიას მონიტორინგს, სკოლის მართვის ორგანოები (პედაგოგიური საბჭო, ხარისხის ჯგუფი) უზრუნველყოფენ, რომ ყოველი ახალი გამოწვევა აისახოს შესაბამისი სამართლებრივ და საგანმანათლებლო დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი **რჩევა:** ყველა თემის/ საკითხისთვის შექმენით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან თუ რომელი მოსწავლე საჭიროებს დამატებით დახმარებას (მაგალითად, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი მოსწავლეები, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) და შეუძლია შეცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები ან რესურსები, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ეს მოიცავს მოულოდნელ გამოწვევებს, როგორიცაა ვირუსული ინფექციების გავრცელება, სტიქიური უბედურებები, ან სხვა კრიზისული სიტუაციები, რომლებიც აიძულებს სკოლას შეცვალოს სასწავლო ფორმატი. სკოლა ღიაა სიახლეების მიმართ და მზადაა დანერგოს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები ან პედაგოგიური მეთოდები, თუკი ისინი გაუმჯობესებენ სწავლის ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. თუკი ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) შედის ცვლილებები ან დამატებები, სკოლა ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის ადაპტირებას ამ სიახლეებთან. სკოლა აქტიურად აგროვებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, აანალიზებს მას და იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად. ასევე შექმნილი აქვთ

	შემაჯამებლის ანალიზის, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** სასურველია თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა განისაზღვროს 10 ქულით. სასწავლო აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული. თითოეულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქულათა მინიჭების კრიტერიუმები (მაგალითად, რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას), რათა შეფასების პროცესი იყოს ობიექტური, გაზომვადი და მოსწავლისთვის ადვილად აღქმადი. პროექტის შეფასების რუბრიკა ორიენტირებული იყოს პროექტის განხორციელების სრულ ციკლზე და მის სიღრმისეულ ანალიზზე. რუბრიკაში აისახოს მუშაობის პროცესი, კვლევის ხარისხი და დასახული მიზნების მიღწევის დონე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასებას უცხო ენის კათედრა აწარმოებს საგნობრივ სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით . განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების კრიტერიუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით. აქვთ შეფასების მრავალმხრივი ინსტრუმენტები რაც ყველასთვის თვალსაჩინო და გამჭირვალეა. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი ,როგორც მოსწავლეების ისე მშობლებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის ,კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. **რჩევა:** სასურველია, როგორც დაწყებით,ასევე საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე და კრიტერიუმებზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ზოგიერთი განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას (მე-5, მე-6 კლასებში განმსაზღვრელს)** ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, დაინტერესების შემთხვევაში კი მასწავლებლების მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება მშობელსაც.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გამართული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. კათედრებზე დანერგილია შემაჯამებელი დავალებების წინასწარი და შემდგომი გადამოწმების პრაქტიკა, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულად მოხდეს დავალების პირობისა და რუბრიკების კორექტირება სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ვერიფიკაციის პროცესი ატარებს არა მხოლოდ მაკონტროლებელ, არამედ განვითარებაზე ორიენტირებულ ხასიათს, რაც გამოიხატება პედაგოგებს შორის პროფესიული კონსულტაციებისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატში. აღნიშნული პროცედურული გამართულობა და ვერიფიკაციის ფორმების სისტემური გამოყენება ადასტურებს სკოლის მზაობას, მუდმივად აკონტროლოს და გააუმჯობესოს შეფასების ხარისხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილი წესით. მასწავლებლები აწარმოებენ მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ჩანაწერებს, ინახავენ შეფასების რუბრიკებს, დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, გაანალიზებულ მასალებსა და ვერიფიკაციის ფორმებს როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ არქივში. საგნობრივი კათედრების მიერ მიწოდებული დოკუმენტები და ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება პრაქტიკაში ადასტურებს, რომ შეფასების მონაცემები ინახება მინიმუმ 3 წლის ვადით და საჭიროების

შემთხვევაში ადვილად ხელმისაწვდომია შიდა მონიტორინგისა და განმეორებითი ანალიზისთვის. ასევე, თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოდ განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებას შეინარჩუნონ დოკუმენტაცია, დაიცვან აღრიცხვისა და არქივაციის წესები და უზრუნველყონ პროცესის უწყვეტობა. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლა სრულად იცავს შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მითითებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები პირდაპირ კავშირშია პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებასთან. რესურსების შერჩევისას ძირითადი აქცენტი კეთდება თვალსაჩინოებებზე, საილუსტრაციო მასალებსა და იმ დამხმარე ინსტრუმენტებზე, რომლებიც ხელს უწყობს თეორიული საკითხების ექსპერიმენტულ

	გააზრებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმით დასახული მიზნების ეფექტურ იმპლემენტაციას და მოსწავლეთათვის საგნობრივი შინაარსის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსი, რაც აუცილებელია ეფექტური და ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლა არამარტო გეგმავს სწავლებას, არამედ გააჩნია ის საშუალებები, რითაც ეს გეგმა რეალურად განხორციელდება და მოსწავლეები მიიღებენ სრულფასოვან განათლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	კათედრას აქვს შესაძლებლობა სწავლების პროცესში გამოიყენოს, როგორც ძირითადი ასევე მრავალფეროვანი ციფრული აუდიო და ვიდეო რესურსები, რომლებიც როგორც თემატურად ისე მიზნობრივად სრულიად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც განაპრობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ონლაინ პლატფორმები (ხშირად იყენებენ შიდასაგნობრივი შეჯიბრებების ჩასატარებლად და საგაკვეთილო პროცესის ინტერაქტიულობის გაზრდისათვის) და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ

	კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწ ავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება მათი შინაარსობრივი სიზუსტისა და კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის დადგენით. შერჩეული მასალები ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ხელს ისინი პრაქტიკული კვლევისა და ექსპერიმენტული უნარების განვითარებას კონკრეტულ საგნობრივ კონტექსტში. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მრავალფეროვნებასა და მათ ეფექტურ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე სკოლა არამხოლოდ ფლობს დამხმარე სასწავლო რესურსებს, არამედ აქვს მკაფიო პროცესი ამ რესურსების ხარისხის, შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად. საწყის ეტაპზე სკოლა რწმუნდება, რომ ყველა დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება, ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. არსებულ რესურსებს სისტემატურად ამოწმებს და საჭიროების მიხედვით აკეთებს მოდიფიცირებას. როგორც ინტერვიუს ფაზაზე გამოიკვეთა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად აკვირდება მათ ხელთ არსებული რესურსები ხომ არ ეწინააღმდეგება მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და შეფასების პრინციპებს. როგორც გაირკვა არსებული დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში. საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დამხმარე სასწავლო რესურსების ფლობას, არამედ მათ შესაბამისობას მოზარდების განვითარების დონესთან. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სისტემატურად აანალიზებენ გამოყენებულ ციფრულ და ბეჭდურ რესურსებს. სკოლა რწმუნდება, რომ დამატებითი მასალა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და კვლევითი უნარების განვითარებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემით. რესურსები მუდმივად ახლდება, რათა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების პრინციპებს. საშუალო საფეხურზე სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო და გამჭვირვალე პროცესი დამხმარე რესურსების შერჩევისა და მათი ეფექტიანობის დასადასტურებლად. როგორც ინტერვიუების ფაზაზე გამოიკვეთა, კათედრის წევრები მუდმივ მონიტორინგს უწევენ დამხმარე მასალებს, რათა გამოირიცხოს შინაარსობრივი უზუსტობები და უზრუნველყოფილ იქნას რესურსების მაღალი მეცნიერული ღირებულება. სკოლა რწმუნდება, რომ გამოყენებული მასალები პასუხობს კომპლექსურ სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ახდენს რესურსების მოდიფიცირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

უცხოური ენები	ინტერვიუდან და კათედრის სხდომის ოქმებიდან გამოიკვეთა, რომ უცხო ენის კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას,შეფასებასა და ვალიდაციას, რესურსები მოწმდება მათი ხარისხის სანდოობისა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით რათა ისინი ხელს უწყობდეს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა.
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა თემა: „გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა". სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის

	დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, იყო გამოყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სივრცე/ 3 ოთახი, თუმცა არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, ინვენტარით, გამწოვი კარადით და ა.შ.

	სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც რეკომენდაციის შესრულების ვადა დააკორექტირა და განსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა. **<u>რეკომენდაცია</u>**: ***<u>სკოლამ (საბაზო და საშუალო საფეხურზე) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ივნისისა, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის მიზნით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საბუნებისმეტყველო მატერიალური რესურსებით სკოლის აღჭურვა.***</u>
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ბათუმის N 5 საჯარო სკოლის **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად. ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, სასკოლო სივრცისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **საბაზო საფეხურის** კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის გამყარებული შესაბამისი მატერიალური ბაზით. სკოლაში არსებული რესურსები რაოდენობრივად შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, რაც თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. სასკოლო სივრცეები მოწყობილია იმგვარად, რომ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და იძლევა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას. კურიკულუმის განხორციელების პროცესში დადასტურდა, რომ მატერიალური რესურსი საკმარისია პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების სრულყოფილად შესასრულებლად. **საშუალო საფეხურზე** კურიკულუმის მიზნებისა და სწავლის შედეგების რეალიზება უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და თანამედროვე მატერიალური რესურსებით. სკოლა მკაცრად იცავს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას და თითოეული მოსწავლისთვის გარანტირებულია წვდომა რესურსებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	გასაუბრებაზე კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსები მოსწავლეთა ოპტიმალურ

	რაოდენობასთან ერთად ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც ადეკვატურად პასუხობს სასწავლო პროცესის საჭიროებებს. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას. ამასთან, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ეფექტიან ორგანიზებას, რაც მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, თითოეულ მოსწავლეს დაუთმოს სათანადო ყურადღება და ხელი შეუწყონ სასწავლო შედეგების სრულფასოვან მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების

	რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობითა და შესაბამისი კვალიფიკაციით. საშტატო განრიგი ასახავს დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, მასწავლებლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, სკოლის ექიმის, დარაჯისა და დამლაგებლების პოზიციებს, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე სკოლაში მხარდაჭერისა და უსაფრთხო გარემოს შექმნას. თანამდებობრივი ინსტრუქციები და შრომითი ხელშეკრულებები ცხადყოფს, რომ თითოეული თანამშრომელი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელების უწყვეტობასა და ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემოწმდა მასწავლებელთა კომპეტენცია, სერთიფიცირება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ვაკანტური საათების შესავსებად დადგენილ კრიტერიუმებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

ონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“ ადასტურებს, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მყარი მექანიზმი. საგნობრივი კათედრები

სისტემურად ახორციელებენ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ვალიდურობის შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების თანხვედრას. პროცესი მოიცავს როგორც წინასწარ დაგეგმარებას, ისე შესრულებული სამუშაოების ანალიზს, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობისა და სანდოობის მაღალ სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მონიტორინგის პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე. ვერიფიკაციის წესის მე-5 მუხლის თანახმად, შეფასების პროცესი სამეტაპიანია (დაგეგმვა, შეფასება, უკუკავშირი), რაც საშუალებას იძლევა, მონიტორინგისას გამოკვეთილი საჭიროებები მყისიერად აისახოს სასწავლო პროცესის კორექტირებაში. კათედრებზე მიმდინარე დისკუსიები და მიღებული ანალიტიკური მონაცემები საფუძვლად ედება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების შერჩევას, რაც პრაქტიკაში უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის მასალის გამდიდრებასა და მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხელშეწყობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესები მოიაზრება არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის ინსტრუმენტად. მასწავლებლებს ეძლევათ ანალიტიკური უკუკავშირი, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებასა და გაუმჯობესებაში. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ აძლევს შეხედულებას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და უწყობს ხელს განვითარების ინდივიდუალური ტრაექტორიის დაგეგმვას. მშობლები ინფორმირებულნი არიან სწავლის დინამიკის, შედეგებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების გზების შესახებ. კათედრების შიდა შეხვედრები, პედაგოგიური საბჭოს განხილვები და შეფასების ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება სწავლების ხარისხის ამაღლებას და სკოლაში თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას. ამგვარად, მონიტორინგი და შეფასება ქმნის გარემოს, სადაც ყველა სუბიექტი - მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და ადმინისტრაცია — იღებს შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლის მიღწევების შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან და კომპლექსურ წყაროებს. ნაცვლად ვიწრო აკადემიური ტესტირებისა, პედაგოგები იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა პროექტები, პრეზენტაციები, კვლევითი სამუშაოები და პორტფოლიოები. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, მოსწავლის ცოდნა შეფასდეს სხვადასხვა კონტექსტში, რაც ქმნის მისი პროგრესის სრულ სურათს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლის ცოდნისა და უნარების შეფასება სცილდება ვიწრო აკადემიურ ჩარჩოებს და ეფუძნება მრავალფეროვან კონტექსტებს. წარმოდგენილი საგნობრივი მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ანალიზი აჩვენებს, რომ შეფასების ინსტრუმენტები მორგებულია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ნასწავლი მასალა გამოიყენოს პრაქტიკაში. შეფასება მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ფორმატებს, პროექტებსა და კვლევით სამუშაოებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პოტენციალის სრულყოფილ გამოვლენას სხვადასხვა გარემოში.ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. მშობლები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალმხრივ მიდგომებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაში, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. მოსწავლეების მხრიდან ხაზი

გაესვა იმ გარემოებას, რომ კომპლექსური დავალებების ფარგლებში ისინი იღებენ უკუკავშირს, რომელიც ორიენტირებულია მათ ძლიერ მხარეებზე სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლის პროგრესის შეფასება ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან და სისტემურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის ობიექტურ სურათს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო და საგნობრივი მატრიცები ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ფოკუსირებულია სამიზნე ცნებებზე, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლის ცოდნა შეფასდეს არა ფრაგმენტულად, არამედ ჰოლისტურად — ფუნქციური კონტექსტებისა და კომპლექსური დავალებების მეშვეობით. მონაცემთა შეგროვებისას პედაგოგები იყენებენ როგორც ფორმალურ (ტესტები, შემაჯამებელი დავალებები), ისე არაფორმალურ ინსტრუმენტებს (დაკვირვება, თვითშეფასება, რეფლექსია), რაც ქმნის ინფორმაციულ ბაზას მოსწავლის გრძელვადიანი განვითარებისთვის. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ შეფასება ატარებს განვითარებაზე ორიენტირებულ ხასიათს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული ჰოლისტური შეფასებები მათ ეხმარება დაინახონ მოსწავლის აზროვნების დონე და არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნა. მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიუებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რაც თითოეულ ბავშვს აძლევს საშუალებას, მისთვის ხელსაყრელი ფორმით მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება. საზოგადოების წევრები კმაყოფილებას გამოხატავენ იმით, რომ შეფასება არის მრავალმხრივი და ასახავს მოსწავლის რეალურ პროგრესს დროში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის კომპლექსურ განვითარებასა და ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კვლევა, შემოქმედებითობა) რეალიზებაზე. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მიდგომებით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ კონტექსტში გამოიყენოს. შეფასების ინსტრუმენტები მორგებულია საგნობრივ სპეციფიკას და ითვალისწინებს მოსწავლის მზაობას, გაართვას თავი რეალურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლისას დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია რეგიონული კონტექსტი და სკოლის მულტიკულტურული გარემო. პედაგოგები იყენებენ შეფასების ისეთ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას. სისტემა უზრუნველყოფს ობიექტურ უკუკავშირს, რაც მიმართულია მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოკვეთასა და პიროვნულ წინსვლაზე. სკოლაში არსებული მექანიზმები ქმნის საიმედო საფუძველს სწავლის ხარისხის მართვისა და თითოეული მოსწავლის პროგრესის მხარდასაჭერად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარებისა და სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ფორმირება წარმოადგენს ცოცხალ, დინამიკურ პროცესს, რომელიც ეფუძნება პედაგოგთა პროფესიულ გამოცდილებასა და მოსწავლეთა აკადემიურ საჭიროებებს. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოველი ახალი კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა წინა წლების პრაქტიკულ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებასა და ფუნქციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას. პედაგოგიური გუნდი აქტიურად იყენებს მონიტორინგის შედეგად მიღებულ უკუკავშირს სარეკომენდაციო პაკეტის შესაქმნელად, რაც საშუალებას იძლევა, სწავლების მეთოდები ოპერატიულად მოერგოს მოსწავლეთა ინტერესებსა და სასწავლო გამოწვევებს, რითაც დასტურდება სკოლის მზაობა, განავითაროს ხარისხზე ორიენტირებული და შედეგზე გათვლილი კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია წარმოადგენს გააზრებული პედაგოგიური პრაქტიკის შედეგს, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და სისტემურად ითვალისწინებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ვინაიდან დაწესებულება იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ყოველი ახალი კურიკულუმის ფორმირებისას ხდება გასული სასწავლო პერიოდის ანალიზი, რაც აისახება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტში. პედაგოგიური გუნდი აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული მიგნებები პირდაპირ აისახება სასწავლო პროგრამების ოპტიმიზაციაში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ვალიდურობასა და მის შესაბამისობას სკოლის რეალურ საჭიროებებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო და სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება;
- სტრატეგიული განვითარება (7-წლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- წლიური სასწავლო გეგმა;

- საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ);
- საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება;
- მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მედეა მაქაცარია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხათუნა საყვარელიძე 

ქეთევან ტურიაშვილი 

კახა გალდავა

ინგა ჯაფარიძე

ლია ციცქიშვილი

ცოტნე გვაჯაია

ირმა ხუნდაძე

ნინო გორგილაძე

მურად ფახურიძე

სოფიო თავაძე

თარიღი 05.06.2026 წელი